



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 6 23 0001372085



13/10/2023

„ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №920044 სხდომის ოქმსა და 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების №1 -ში ტექნიკური შესწორების შესახებ


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. „ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტის „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №921573 გადაწყვეტილების დანართ№1-ში განხორციელდეს ტექნიკური შესწორება და დეტალური სფერო ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: **„მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612“**.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 19 აგვისტოს №920044 სხდომის ოქმის მე-11 ნაწილში, „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აღმწერ ცხრილში, დეტალური სფეროს ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: **„მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612“**.
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 13 აგვისტოს №1370881 სხდომის ოქმის №11 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180²-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



რ. რატიანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

